საქართველოს კანონი

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს კანონში „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება-დამატებები:

1. 44^1 მუხლის:

ა. მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელს.

ბ. დაემატოს 4^1 ნაწილი:

4^1. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის – 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,